

ვაი ჭკუისაგან.

კამედიას

ათხ მოქმედებად

თხზულება

ალექსანდრე გრიბოედოვისა.

ნათატგმნი

კრიგოლ წინამძღვართვის მიერ.



ქ. თფილისს.

სტამბასა შინა უ. ჯავახიის ნამესტნიკის კანცელაჩიისა.

1853

П Е Ч А Т А Т Ъ П О З В О Л Я Е Т С Я ,
съ тѣмъ чтобы по отпечатаніи представлено было въ Ценсурный
Комитетъ узаконенное число экземпляровъ. Тифлисъ Іюль 9-го дня
1855 года.

Исправл. должн. Цензора Св. Алексѣевъ.

მოკლე მოთხრობა.

ალექსანდრ სერგეის გრიბოედოვზე და მის გამოცდაზე, პოლევოის თხზულებისგან გამოკრეფილი. (*)

ყველას უუჩაჩს და ყველასთვის საამუროს კითხვა იმ კაცის ცხოვრებისა, რომელიც განთქმულა რომელიმე საქმიით: კითხვა ცხოვრებისა უფრო კარგათ და ახლოთ გაგვაცნობს ხოლმე იმ საკურველ და განთქმულ კაცსა, რომელსაც ვიცნობდით შორითკან იმის საკურველ საქმიითა.

ალექსანდრ სერგეიხი გრიბოედოვი იყო იმისთანა კაცი, რომლის ცხოვრებაც ყველას მოეწონება და გაუკვირდება. იგი დაიბადა 1795-სა წელს იანვრის 4-სა. წინაპრნი მისნი იყვნენ მოსულნი პოლშითკან სამახი წლის წინათ. შემდგომ ისინი ასე გამოიცვალნენ სულით და გულით რომ შეიქმნენ წმინდა ბუნებითნი რუსნი.

გრიბოედოვი სწავლობდა შინ; თავის დედამასთან, რომელნიც არაფერს არა ზოგავდნენ იმის გასანათლებლად: მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები, რომელნიც განთქმულნი იყვნენ მთელ იევროპაში, ასწავლიდნენ გრიბოედოვსა სხვა და სხვა საგანსა. ძალიან მადლობელი იყო გრიბოედოვი იმ პროფესორებისგან, ნამეტნავად პროფესორ ბუღაიევსაგან, რომელიც საკურველად ასწავლიდა ჭიღოსოფიურ სწავლათა. ძალიან უყვარდა იგი გრიბოედოვს; რამდენჯერ მოიგონებდა ხოლმე მას. გრიბოედოვს ქონდა ნიჭი არა თუ მარტო სწავლისა, მან ისწავლა საკურველად სელოვნება: უმაწვლობითვე უკრავდა ჭორტეპიანსა მშენებნივრად და საკურველად.

(*) პოლევოი. მოსკოველი სწავლული კაცი იყო. იგი ახლოთ იცნობდა გრიბოედოვს.

შედეგომ უფრო და უფრო მოიმატა ცოდნა მეზიკისა საქმით და სიტყვით. სსწა და სსწა სწავლის გარდა იცოდა რამდენიმე ევროპული ენა საფუძვლიანად, და ლაპარაკობდა ქრანციცულად.

1812-ში გრიბოედოვმა დაიჭინა ეგზემენია, მიიღო სწავლულების ხარისხი-კანდიდატობა (*) და მე 12-ტე კლასის ჩინი. ამდროს ბონაპარტე მოდიოდა რუსეთსე. გრაფმა სალტიკოვმა შეადგინა მას შინ ჰოლკი, რომელშიაც შადიოდნენ ყველანი, ვისაც სურდა, ბონაპარტესთან საომრად და რუსეთის დასასწვლად. ჩვიდმეტის წლის ყრმა გრიბოედოვიც შევიდა ამ ჰოლკში გუსარის კორნეტად (**). ეს ჰოლკი ვერ არ იყო შესრულებული, ვერ არ იყო მომზადებული, რომ ბონაპარტე შევიდა მოსკოვში. გრაფი სალტიკოვი ამას უკან მალე მოკრდა და იმის ჰოლკიც დაიშალა. გრიბოედოვი შევიდა სსწა ჰოლკში, რომელიც იდგა ჰოლშაში, მაგრამ ვერ დაქსნა ბონაპარტესთან ბრძოლაში; თითქო განგებას არუნდოდაო. ომი გათავდა; გრიბოედოვი დარჩა ჰოლშაში, სადაც მუდამ სწავლობდა ლიტერატურას. ულიტერატუროთ გრიბოედოვს ვერ გაეძლო; მაგრამ ჰოლშაში ვერ შეიძლო ისე ყური ეგდო რუსულ ლიტერატურისათვის, როგორც თითონ უნდოდა, ამის გამო წავიდა პეტერბურდს და წაიღო თან ერთი კამედა სახელად: *молодые супруги* (ახალ განდასნი მეუღლენი), გადმოთარგმნილი ქრანციცულითგან. მას უკან კიდევ (1817-ში) გადმოსთარგმნა კამედა, სახელად: *Притворная невеста* (ტყუილი ორგულობა). * მაშინვე ეტყობოდა გრიბოედოვს, რომ ღმერთს მიეცა მისთვის საკურველი გონება და ნიჭი. ყველა პეტერბურდში მეოფე სწავლულ კაცთან ჰქონდა ცნობა და სიარული, ყველას უყვარდა იგი იმის სწავლულების, მშვენიერ და მახვილ მეტყველების გამო. 1817-ში შევიდა ინოტრანსის კალეუ-

(*) ოთხი ხარისხი სწავლულებისა: 1) სტუნდენტი, 2) კანდიდატი, 3) მაღისტრი, 4) დოკტორი.

(**) პირველი ჩინის სახელია.

ღიაში (*). 1818-ში გაგზავნეს თავრიზს რუსეთის ელჩის სეკრეტრათ. იქ საკურელად ისწავლა სპარსული ენა და სამსახური; ძალიან შეუყვარდა აბას მირზას და ანგლინანების ელჩსა. ასე შეაყვარა გრიბოედოვმა თავისი თავი აბას მირზას სპარსულად ღამურაობით და მასვე გონებითა, რომ აბას მირზას მისთანად არავისთან არა ჰქონდა ნდობა; მრავალნი ტყვეთ წაყვანილნი რუსის სალდათნი გადმოვიდნენ რუსეთში გრიბოედოვის მეტადინეობითა. 1822-ში იერმალოვმა გადმოიყვანა თბილისს, განაწესა თავის განცუვარებაში და მოუტანინა, თავრიზში სამსახურის გამო, კოლლეჟსკი ასესორობა. თბილისში დასწერა კამედია: ვ ა ი ჯ კ უ ი ს ა გ ა ნ (Горе от ума), რომელიც მითომ ამბობენ სპარსეთშივე დაუწყია. 1823-ში გრიბოედოვი წავიდა მოსკოვს, უჩუქუნა რამდენიმე თავის მეგობარს თავისი კამედია ვ ა ი ჯ კ უ ი ს ა გ ა ნ, გაშინჯა იქაური საზოგადოება, იქაური ცხოვრება და ისე გაასწორა თავისი კამედია. რუსეთში პირველად ვერ გაიკეს იმის კამედია, არც მოსწონდათ მრავალთა ძველებურთა კაცთა; მაგრამ სუთის წლის უკან თითქმის ყველანი ზეპირად სწავლობდნენ. გრიბოედოვის სახელი განითქვა მთელ რუსეთში. ჯერ არიუო დაბეჭდილი იმის კამედია, მაგრამ თითქმის ყველას სახლში იპოებოდა, ყველა კითხულობდა და ვერა ძღებოდა კითხვითა. 1824-ში გრიბოედოვმა სთხოვა მთავრობას უცხო ქვეყანას სწავლავად წასვლის ბრძანება, რომელიც მიიღო მალე; მაგრამ პეტერბურღში თავის მეგობრებთან საუბარმა და სწავლამ დააგვიანა და ამის გამო აღარ მოუხდა უცხო ქვეყანას წასვლა. დაბრუნდა ისევ თბილისს, სადაც მუდამ სწავლობდა და უფრო და უფრო ანათლებდა თავის გონებას სწავლითა. 1826-ში დაიბარეს გრიბოედოვი პეტერბურღს, სადაც დიდი ხნის სულმწიფემ ინკა მისა ნასკა. ისევ წამოვიდა გრიბოედოვი თბილისს; წამოასკლის დროს მასცეს ნადვარანი სოვეტნიერობა. მაშინ პასკევიჩი იყო საქარ-

(*) ინასტრანისი კალედია-სასამართლოა, სადაც განისიღვენ ხოლმე უცხო ქვეყნის საქმეთა,

თველოს მთავარმართებლად. ჰასკევიჩმა ჩაახარა გრიბოედოვს მრავალი საქმე, რომელიც გრიბოედოვმა აღასრულა საკურფლად ღ ამის გამო მიიღო კოლლეჟსკი სოვეტნიკობა.

1828-ში სპარსეთის ომის დროს, ჰასკევიჩის ნებით, გრიბოედოვი წავიდა ახას მიწას ლაგირში, აღასრულა უოველი ფერი, რაც ჩაებარებინა ჰასკევიჩს ღ ამის გამო ჰასკევიჩმა გაგსაუნა გრიბოედოვი ჰეტერბურდს სელმწიფესთან მოსასსენებლად ღ მისართმეუად ახას მიწის შერიგების ჰირობათა. დიდებულმა სელმწიფემ უბოძა გრიბოედოვს სტარსკი სოვეტნიკობა, წმინდის ანნის მე შარე სარისსის ჯვარი, სპარსეთის ომის შედელი, 4000 ოქრო ღ დანიშნა სპარსეთის ელჩათ. იმ წელიწადსვე მოვიდა გრიბოედოვი საქაროთველოს ღ შერიტოთ თავ. დენერალ აღექსანრე ჭავჭავაძის ასული, რომელიც ადრევე უყვარდა გრიბოედოვს. რა ბედნიერი იყო გრიბოედოვისთჳს ის წელიწადი? რა არ მისცა გრიბოედოვს იმ ეელიწადმა?

მაგრამ იმ წიგნებითგან, რომელიც მიუწერია გრიბოედოვს თავის მეგობრების თვის, სჩანს, რომ გრიბოედოვი წინათვე გრძნობდა რაღაც უბედურებასა; თვით ჰეტერბურდითგან გამოსვლის ჟამს რამდენიმე მეგობრებისთჳს ეთქო, რომ არა მგონიათ კიდევ ღკბრუნდეთ სპარსეთითგან. გამართლდა იმისი სიტუჳა: მოვიდა უეტრად ანაზვი რომ გრიბოედოვი მოკლესო!! იგი მოკელათ ეიზილბაშებს თეირანში 1829-ში იანვრის 4-ში.

ესე უეტრად ღ უდროოთ აღესრულა რუსეთისათჳს უძვირფასესი კაცი! აღესრულა მაშინვე, რაკი მიაღწია ბედნიერებას!

უკანასკნელ თავრიზში წასვლის დროს, გრიბოედოვს ეთქო თავის მეუღლისთჳს: «ნუ გუშეებ ჩემ შეღებს სპარსეთში; თუ იქ მოვკრედი მოატანინე ჩემი გვამი ღ თბილისის მთაწმინდაში დამარსე.»

ნათესავთა ღ მეგობართა მოატანინეს გვამი გრიბოედოვისა სპარსეთითგან ღ მიაბარეს მიწას მთაწმინდაში, სადაც გრიბოედოვი თაა

ვის საყვარელ შეუღლით ხშირად იარებოდა და ასე მოსწონდა თბილისის გარეშემო, რომ უურებით ძლიერად აღებოდა.

✓ ცრიბოედოვს დაუწერია რამდენიმე თხზულება, მაგრამ იმის კამედიან: ვაი ჭკუისაგან (Горе от ума) უპირველესია და უმჯობესია. ამ კამედიის განსაკუთრებულად უნდა იცოდეთ მიხეიბი, რომ ძლიერ გამოცე ცრიბოედოვს დაუწერია; მიხეიბი არის შემდგომად

ცრიბოედოვი იყო ძალიან განათლებული კაცი; ყოვლის გულით და ყოვლის სულით უყვარდა მას თავისი ქვეყანა — რუსეთი და სურდა მისთვის კეთილი. როგორც ყველა ასაღვანდას, ისეც ცრიბოედოვს უყვარდა საზოგადოება და იარებოდა ხშირად საზოგადოებაში. ჭკმშიატივად განათლებულმა გონებამ გამოუჩინა ცრიბოედოვს მრავალი ნაკლებულება. მრავალიწუნი და მრავალი დასაცინი საქმე საზოგადოებისა. ცრიბოედოვმა სასარგებლოდ მრავალი დასაცინი საქმე საზოგადოებისა რიტე განათლება, არცთუესმოდათ არც რა ჭკმშიატივად განათლება. გარეუგანი ცვლილება, მაგალითებ: ტანისმოსის გამოცვლა, უცხო ქვეყნის ტანისმოსის ჩაცმა, უცხო ქვეყნის, ენების ცოდნა, უცხო ქვეყნის ენებზე ლაპარაკი, უცხო ქვეყნის ცნობა, ჩვეულება სამსახურში ჩინების და პატივის მიღება, ჯვრები, ვარსკვლავები, ეზოლეტები, დოვლათი, ყმა, მამული, ბალებში და კერებში სიარული, მოდების აყოლა, ერთის სიტყვით ყოველი ფერი რაც გარეგანია, რაც არა ფერ სარგებლობას არამდეუვს გონებასა — ეს ეგონათ განათლებულად, გონებისათვისკი დაუეებინათ თავი და არა ცდილობდნენ განენათლებინათ გონება სწავლით. რას არგებს გარეგანი ცვლილება თუ კაცი ამასთანვე არ გამოიცვლება შინაგანად სწავლით? ღმერთმა ყველას მოგვცა გონება; ჩუქნ უნდა ვეცადნეთ განავრცელოთ ღმრთისაგან მოცემული ნიჭი და გონება სწავლით, არა თუ აყვეთ სულებების საქმეს — გარეგან ცვლილებას, გონებასკი თავი დაუანებოთ. ის კაცი, რომელსაც მიუღია გარეგანი ცვლილება, გონებასკი არ განუვრცელებია და არ განუნათლებია სწავლით, ჭკვან იმ ყოლანს, რომელსაც შეუსხავს ფარშევანგის ბუმბულები.

გრიბოედოვმა დაანება თავი რუსეთსა და კადმოვიდა ჩქვსკენ —
 აზიაში. ანბოტენ, რომ შორს ყოფნაში უფრო კარგათ გაიცნობსო
 კაცი საგანსო, შორითგან უფრო კარგათ და ცხადათ წარმოიდგენსო
 უოველ ღირსეას და უოველ ნაკლებულეას საჯნისასო: გრიბოედოვმა,
 საქართველოში და სპარსეთში ყოფნის დროს, ასე გაიცნო თავისი
 ქვეყანა — რუსეთი და იქური საზოგადოება, ასეთ რიგათ განსხსნი-
 კა მოსკოვი და იქური საღის ცხოვრება. რომ ვერც ერთი, შიგ
 რუსეთში, შიგ მოსკოვში მცხოვრებელი ვერ გაიცნობდა ამისსავით.
 აზიაში გრიბოედოვმა წარმოიდგინა კარგათ რუსეთის ძველებურ
 ჯგთა და მრავლთა ასაღვასდათა ნაკლებულეა, იმათი ცუდილი გა-
 ნათლება, იმათი შეიმუნსავით უცხო ქვეყნულეების — სამეტნავად ჭრას
 ნცუყების — მიბაძვა და იმათგან ყველაფერის შეიმუნისავით გადმო-
 ლება. რუსეთში ყველა ფერი, რაც რომ კარეკანია, გადმოელათ
 ქრანცუყებისგან: ცხოვრება, ტანისამოსი, ჩქვშულეა, ენა, სასლის
 შორთულობა, სურათები, სიმილეები და სხენი. უოველ შალა სა-
 ლხის შეკრებილებაში კანცი და ღედაკანცი ღაპარაკობდენ და ას-
 ლაღ ღაპარაკობენ სულ ქრანციცულად; თავიანთ ბუნებით ენასკი
 ივიყებდენ; სიძულდათ ყველაფერი თავიანთ ქვეყნისა; თჯთ მანწავლე-
 ბულთაგ იჭკრდენ უცხო ქვეყნისას, სამეტნავად ქრანცუყებს, ვინც
 უნდა უოფილიყო, თუნდა სცოდნიყო რამე თუნდა არა, ოღონდ კი უო
 ფილიყო უცხო ქვეყნის კაცი, მანწივე შეიყვანდენ ხოლმე სახლში
 ემწვილეების სასწავლებლად. ერთის სიტყვით, მრავალთა რუსთა ყველა-
 ფერი რაც კარეკანია გადმოელათ ქრანცუყებისგან, რომელთაგ მიმუნ-
 სავით მიბაძვიდენ უოველ ფერში, რაც კარეკანია, გონებაკი გაუ-
 ნათლებელი დაწრომოდათ. ასე დაბრმავებულყვენ უცხო ქვეყნის
 მიმუნსავით მიბაძვითა, რომ არავინ არა ცდილობდა გონების გან-
 თლებასა და ჭეშმარიტ განათლების მიღებასა. ამ გვარი თავიანთ
 ქვეყნის დამცრობა, თავიანთ ქვეყნის მოძულეა, მრავალთა ძველე-
 ბურთა კაცთა და ასაღვასდათა განათლება გგონათ. ასე დაწმუნე-
 ბულნი იყენენ ამსე მწვლებურნი კაცი და მრავალნი ასაღვასდანი
 რომ სულელათ სასჯდენ იმას ვინც დაწმუნებდა იმათ უოფა ქვეყანა,

იმათ ჭაზრებსა, იმათ გონებასა, იმათ ჩუქულებასა, იმათ შეიშენსა-
 გია ძრანცუსების მიბაძვასა.

გრიბოედოვს გული სტკიოდა, რომ რუსეთის საზოგადოებას ამის-
 თანა ნაკლებულება ჰქონდა; ეკავებოდა რომ რუსნი არა ცდილობ-
 დნენ ჭეშმარიტად განენათლებინათ გონება ჭსწავლით. რასჴიროა
 გარეგანი ცვლილება? რა საჴიროა გადმოლება უცხო ქუჭუნის ცხო-
 ვრებისა, უცხო ქუჭუნის ჩუქულებისა, ზნეობისა, სიმღერებისა, ტა-
 ნისამოსისა, უცხო ქუჭუნის ენაზე ლაპარაკი? განა ჩუქნი ტან-
 სამოსი, ჩუქნი ცხოვრება, ჩუქნი ჩუქულება, ჩუქნი ზნეობა, ჩუქ-
 ნი სიმღერები, ჩუქნი ენა დაგვიშლის გონების განათლებასა? და-
 გვიშლის სწავლასა? ეველას უნდა უეკრდეს თავისი ქუჭუნა ზ სუ-
 რდეს მისთვის კეთილი; ეველას უნდა უეკრდეს ყუჭლაფერი, რაც
 თავის ქუჭუნისაა. ძრანცუსები არას დროს არ მიბაძვიან ანგლისა-
 ნებს, არც ანგლისანები ძრანცუსებს. ყუჭლანი ცდილობენ თავიანთ
 გონებით იმოქმედონ; თავიანთ მამული უეკარს ყუჭლას, ვისაც მი-
 უღია ჭეშმარიტი განათლება.

ამისთანა მდგომარეობაში იყო რუსეთი; ამისთანა ნაკლებულებს
 ჩასა გრიბოედოვმა რუსეთის საზოგადოებაში ჩამან უნდოდა ერუჭ-
 ნებისა შეიშენსავით უცხო ქუჭუნის მიმბაძველათაჯს როგორ საცია
 ნელნი ზ როგორ სამაგელნი არიან; უნდოდა აესილებინა ამათჯს თვას
 ლები ზ ერეკებინა რა არი ჭეშმარიტი განათლება, რა ვალიაქუს
 ეოველ კაცს თავის მამულისა, რას უფრო უნდა მიეღტოდეს კაცი:
 გარეგან თუ შინაგან ცვლილებასა? ამის გარდა გრიბოედოვს უნ-
 დოდა ერუჭნებინა, როგორნი უნდა იყენენ ახალგაზდანი, ჭეშმარი-
 ტად განათლებულნი; ამის გამო დასწერა კამედია: ვაი ჭკუის აგან.
 (Горе от ума). ამას ქუჭუმთ შეიტყობთ მიზეზსა, რათ
 დაურქმევია გრიბოედოვს თავის კამედიისათჯს ამისთანა სსკელი.

ამ კამედიაში ერთ მოქმედ ჰირს ჭქვიან ჩაგვი; ეს ჩაგვი ნამა
 დილი რუსია. ამას მიუღია ჭეშმარიტი განათლება, უეკარს თავისი

ქმეწანა, სურს მისთვის კეთილი. ეს ასაღ-გაზდა, ჭკუშმარტივად განა-
 თლებული კაცი ჩავარდნილა თავის ნათესავეებში და ნაცნობებში, რომ-
 ელთაც არა აქნესთ ჭკუშმარტივი განათლება, არც ესმისთ რა არი
 ჭკუშმარტივი განათლება; ჩავარდნილა იმათში, რომელთაც გადმოუ-
 ღიათ მრანცნუებისაგან ვეკლათური: ტანისამოსი, ენა ჩქუჭულება,
 სნეობა, სიმღერები, ცხოვრება; ანუ რომელთაც მაუღათ სამისხურ-
 ში ჩინებო, ჟურები, ფარსკეჯაკები და ჭკონიანთ რომ განათლებულნი
 არიან, ჭკონიანთ რომ ისინი ჭკვიანნი არიან. ჩაცვი სედავს, რომ
 ესენი დაბრძაკებულან; უბრალოდ ამცრობენ თავიანთ თავსა და თავი-
 ანთ ქმეწანას — რუსეოს უცხო ქმეწენის მიბაძვითა; ხედავს რომ
 ჩინება, თანამღებობა და პატრივი მიუღათ, მაგრამ გონება გაუნ-
 თლებელი გაუშვიათ; სედავს მრავალ ასაღ-გაზდების ცუდილად განა-
 თლების დაქმებას და მრავალთა გასათხოვარ ქალთა და ქრმიან დედა-
 კაცთა სისულელეს. იმათ ჭკორების სიუვარულს; იმათ დასცინის
 ჩაცვი, ცდილობს რომ აუხილოს ამათ თქალები და უჩვენოს ამათი
 სულელობა, ამათი ცუდილი განათლება, მაგრამ ისინი ასე შეჩქუჭ-
 ულან თავიანთ უოფა ქცევას, რომ არ მოხდისთ ჭკუაში ჩაცვის
 სიტუქები. რატომ? იმიტომ რომ საზოგადოებაში ვეკლას ისე იქ-
 ცევა, როგორც ისინი იქცევიან; ისინიც ისე ფიქრობენ, როგორც
 სხუანი, რომელნიც იმათსაკით ცუდილათ სჩემობენ განათლებასა,
 ესე იგი, რომელნიც გარეგან ცვლილებას განათლებათ რიცხავენ.
 განათლებულ ჩაცვის რჩევა, არავის არ მოსწონს, ვეკლას ეჭვარება
 ჩაცვი, ვეკლას სულელათ სასავს, ამიტომ რომ არ ესმისთ ჭკუშმარტივი
 განათლება. ჭკუშმარტივად განათლებული ჩაცვის ჭკუა ტანჯვის მეტს
 ვერაფერსა ხედავს; სულ ამ განათლებულ ჭკუისაგან არი რომ ჩაცვი
 იტანჯება და ვერაფერს თავის გულის ფიქრის შემტეობი ვერ უზოვნია.
 ი ამის გამო გრიბოდოვს დაურქმევი თავის კამედიისათვის ვა ი
 ჭკუისაგან. ✓

დამუსროვი წარმოდგენს იმათ, რომელნიც ცუდმაღებში არიან
 ცხოვლენი, უბრალო რამ დიდი რამ ჭკონიანთ, აღსრულებენ სოლა

მე საზოგადოების განათა, სამსახურის რიგსა, ცდილობენ ჩინების მიღებასა, ექებენ სიმიდრეს, გონებას კი არაფერს ეურს არ უგდებენ. ამისთანა კაცებისთვის სამსახურის რიგის აღსრულება, საზოგადოების შესაფერი ქცევა, ჩინები, ჟურები თანამდებობა, მამული, ემა, სიმიდრე — აი ეს არის განათლება. ღამესოფს არ ესმის რა არი ქვეშარიტი განათლება ღ ამის გამო არ მოსწონს ის სიტყვები, რომელსაც ჩაცვი ეუბნება, არ მოსწონს ჩაცვის ქცევა, ჩაცვის ჭაზრები. ის უწინდელი კაცია; არც იმის მამაპაპს ჭკონია ქვეშარიტი განათლება ღ არც იმასა აქუს. ისიც ისე ფიქრობს ღ ისე სჯის, როგორც ამის მამაპაპს უფიქროს, ისიც ისე იქცევა, როგორც ისინი მოქცეულან. ეს არი საცინელი ღამესოფისა რომ წმინდის გულით ამბობს უველა ფერს, ასე ჭკონია რომ მართლს ღ კარგ რასმე ამბობს (*); რასაც ამბობს ხელ წინაღმდეგია ქვეშარიტად განათლებულ კაცისთვის. ღამესოფს უნდა რომ საზოგადოებაში ღ სამსახურში პატიოსნად ღ კაი ქცევის კაცად ირიცხებოდეს, გოგოსთან არშიუობასკი არაფრათ აგდებს. ერთის სიტყვით, ღამესოფისთანა კაცებს არ ესმისთ კეთილშობილება ღ ქვეშარიტი განათლება. ამ სიტყვებითგან, რომელსაც ამბობს ამ კამეადის ბოლას:) ✓

„ოჰ, ღმერთო! რას იტყვის ასლა კნეინა მარია ალექსეევსა!“

სჩანს რომ ღამესოფი მსოფლოდ იმისთვისა სწუხს რომ თითონ საზოგადოებაში შერცხვება, საზოგადოება შეიტყობს იმის ქალის უპატიურად ქცევასა; იმისთვის კი არა სწუხს რომ არ განარდა თავისი ქალი რიგიანად, ღ ზრდილობის ღ სწავლის მაგიერად უჩვენებდა თავის ქალს ურიტო ცხოვრების მკვალითებს. რაც ნასა ხოლოფიომ თავის დედამამსთან ის ისწავლა, ამიტომ რომ სსწას არაფერს არ ასწავლიდნენ. რამდენნი განათხოვარნი ქალნი იღუპებიან დედამამის ურიტო ცხოვრებისაგან. ვისი ბრალია რომ ღამესოფი ამბობს

(*) წადვითხეთ ღამესოფის სკალაზუბთან ღაპარაკი მეორე მოქმედებაში მესუთე გამოსვლაში.

ყოფს, რა მსელი უოფილა განათხოვარი ქალის მამობა ! ?

თავისი ბრალია, ამიტომ რომ არ მიუღია ჭკუშმარიტი განათლება, არ ესმის როგორ უნდა გაეზარდა თავისი ქალი, რა უნდა ესწავლებინა, როგორ უნდა თითონ ეცხოვრა, რა მაგალითები უნდა ეჩვენებინა. სოფიოს აქვს ბუნებითი გონება, მაგრამ არ მიუღია განათლება.

ქამუსოვს ჰგონია რომ მსოფოთ უნდა ეცადოს თავის სსამართლოში საქმეები არ მოგროვდეს, ჰგონია რომ დიდი რამ არის ქალაქების ხელის მოწერა. ამის გამო ხელს აწერს ღ თავითგან იშორებს ქალაქებს; კარგა საქმეების განხსრეკას, სსამართლიანად გადაწყვეტას კი არაფრათ აკლებს. ის მსოფოთ თავის თავისთხს ფიქრობს ღ მსოფოთ თავის თავისთხს ცდილობს სსამსახურში, რათა არაფერი არა გადასდეს ღ გამოვიდეს ჰატოსნათ; სხშში თუნდ დაინოცნენ, ის მას არას დასდევს. ის ესეთია, ამიტომ რომ არარი ჭკუშმარიტად განათლებული. წიგნების კითხუა არ უყვარს ქამუსოვს ამიტომ რომ უსწავლია წერა კითხუა, შესულა სსამსახურში, მიუღია დიდი თანამდებობა, ჩინები ჯერები ღ ასე ჰგონია რომ განათლებულია. ამის გამო, იმის ჰაზრით, სსამსახურია დიდი რამ, არა თუ წიგნების კითხუა. წიგნებს რომ კითხულობს ანუ თავი ასტკივა სოღმე ქამუსოვს ანუ დაეძინება, ამიტომ რომ წიგნების კითხვისგან არაფერს სარგებლობას არ მოელის. იმისი ჰაზრით ასაღგაზდანი მხოლოთ უნდა სწავლობდნენ წერაკითხვასა ღ შედიოდინენ სსამსახურში. თუ ახაღგაზდა არა მსახურობს არსად, მხოლოდ მიტკოლია სწავლასა, სელოვნებასა, ერთის სიტყვით: გონების ჭკუშმარიტად განათლებასა — მაშინ ეს ასაღგაზდა, ქამუსოვის ჰაზრით, ურგებელია, სსამაგელია. აი ესე სჯიან ესე დაბრძაკულან ზოგნი სსამსახურში მუოფნი ! იმათთხს ქშესქანსე მხოლოდ სსამსახურია ღ სსამსახურში ჰატოვის მიღებაა უპირველესი საქმე; გონების განათლება, ჰსწავლა, სელოვნება — როგოც ერთი გრში — ისეა. ჩაცკის არ აძლევს თავის ქალს, სოფიოსაც არ მოსწონს ჩაცკი, ამიტომ რომ ჩაცკი არსად არა მსახურობს, არა აქვს ჩინები, არა აქვს ჯერები. ქამუსოვისთხს ღ

ჭამუსოვისთანა კაცებისთვის სულელი პოლკოვნიკი სკალოზუბი ჩაცეიფე ათას წილათ მეტია, ამიტომ რომ სკალოზუბი პოლკოვნიკია, გულზე ჯვრები აქვს, სქელი ეპოლეცები უწევია მსრებსე, მამული აქვს, ემა ჭყავს და ღენარლობასაც მოელის. რა საჭიროა ჭკუ, თუ ეს ვეველაფერი აქვს კაცსა! (?) ესე ფიქრობდრენ მრავალნი კაცნი რუსეთში და ეს ჯვარებოდა გრიბოედოვს, ჭეშმარიტად განათლებულს!

მოლჩალინი წარმოადგენს იმ ასალგაზდა კაცთა, რომელთაც მიუღიათ ჰსწავლა, მაგრამ არა აქვსთ ჭეშმარიტი განათლება; არ იციან თავიანთ თავის ჰატევი, რასაც უფროსნი, რასაც სსჰანი შერებთან ისიც იმასა შერება. მოლჩალინისთანები თითქმის მიტოვებენ, მიტურვენი ნახალნიკის წინაშე, იმცრობენ თავსა სმაგლად, რათა ერქნენ მშვიდად, მორჩილად, მოამებლად, წენარად და ამ სახით გამოსტეუონ სარგებლობა. ისინი მხოლოდ სარგებლობისათვის იმცრობენ თავსა. მოლჩალინს ერთი ბეწვის რდენა თავის თავის ჰატევი არა აქვს. რას არა იქს მოლჩალინისთანა კაცი, რომელსაც უნდა გამოსტეუონ ვისმე რამე? როგორც გინდათ ისე დამცრობს თავსა, როგორც გინდათ ისე თაუენსა გნემსთ, როდესაც უნდათ გამოგტეუონ რამე. სარგებლობისათვის მოლჩალინი უწელასთან იმცრობს თავსა, ვინც უნდა იუოს, თუნდ მეკარის ძაღლიც იუოს. თითონ მოლჩალინი ეუბნება ღიზას:

» მამაქუმე ანდერძი დამიგლო, რომ ვეველას ვაამო: ნახალნიკს ვისთანაც ვიმასურებ, სასლის ჰატრონს, ვისთანაც ვიცხოვრებ, იმის ბიქს, იმის ძაღლს რომ არ დაეუფოს.»

ჩუქნი უწელასა გვაქვს ვალი, რომ ერთმანერთს ჰატევისა ვცემოდეთ და გვიუვარდეს ერთმანერთი; მაგრამ თუ ეს ჰატევის გემა, ეს სიუჰარული იმისთვისა გვაქვს, რომ მოვევლით სარგებლობასა—ეს კი სმაგლობაა, ეს კი დამცრობს კაცსა! მოლჩალინი სარგებლობისათვის ჰატევისა გნემს არა თუ მარტო ნახალნიკს, თუთ მეკარესაც და მეკარის ძაღლსაც!

ოჲ, რა სასაგელია ამის გამო მოღწაღწინი! რა ავაწაკია! სოფიოს
 გაუაზივდა არა თუ იმიტომ, რომ უუწარს, არა თუ იმიტომ, რომ
 სურს მისთვის კეთილი ღ ბედნიერება—არა! იმიტომ გაუაზივდა, რომ
 სოფიო ეცადოს იმის წინსვლა ღ ჯურებზე წარდგენასა. მოღწაღწი-
 ნისა თვს არაფერია სოფიოს გაუაზივრება, თღონდ მიიღოს
 იმით ჰატვი ღ წინები. გრიბოედღვს უნდოდა რომ ახლგასდანი
 გამოსულ იუვენს ისეთნი, როგორც ჩაცკია წარმოდგენილი ამ კამედია-
 ში, ისე იქცოდნენ. როგორც ჩაცკი იქცევა—ესე იგი: ცდილობ-
 დნენ განათლებასა არა თუ წინების მიღებასა.

სოფიო, ქალი ჭამუსოვისა, წარმოდგენს იმ გაუთხოვარ ქალებს,
 რომელთაც აქწესთ ბუნებითი ჭკუა, მაგრამ არ მიუღიათ რიგისანი სწავლა
 ღ ზრდაღობა. სოფიოს რაც უნასავს სახლში, თავის მშობლებთან,
 იმასა შერება. ბოლოს ეს უზღველობა, ეს გაუნათლებლობა, ეს მშობელ-
 თაგან ნაწივსებელი მაგადითი გარეუენის ხოლმე ქალებსა, როგორც სო-
 ფიო გარეუენილა. სოფიოც ისეთი გამოვა, როგორც სლესტოვისა,
 სრიუმინები, ტუტოუსოვსკები. ესენი ახლგასდობას სოფიოსა-
 ვით უსწავლელად ღ უზრდელად დარწამიღან. ამ სრიუმინებს, ტუტო-
 უსოვსკებს, ღ სლესტოვისას ჭორის მოგონებაში, ჭორებზე ლა-
 ჰარაკში, სხვების დამსახვაში, ბალებში, ვაწერებში ღ ტანისამოს-
 შა აქწესთ გონება; ამაზე მეტი არაფერი სავქე არა აქწესთ რა (*).

დანარჩენნი მოქმედნი ჰირნი წარმოდგენენ კაცთა ღ დედაკაცთა,
 რომელთაც შეკიძლიანთ დაუძახეთ ერთი მეორესედა უფრო
 სულელად. ამ სულელთაგან ყველაზე უფრო სულელნი არიან:
 პოლონოვნიკი სკალოზუბი, რეჰეტილოვი ღ ზაგორცკი.

სკალოზუბმა არაფერი არა იცის რა, არაფერი არა ესმის რა იმას;
 იმის გონება სულ სამსახურშია, ყველა შეატყობს რომ სკალოზუბი
 უსრდელია, ბრიყვია.

(*) წაიკითხეთ კნიინას ღ კნიაცუნების ლაჰარაკი მესამე მოქმედუ-
 ბაში VII გამოხვლაში. მასუკან XIV გამოხვლითგან მე XXII გა-
 მოხვლამდინ.

რეპეტილოვიც უზრდელია, არა იცის რა, უბრალოდ ჰ უსარ-
გებლოთ ატარებს თავის სიცოცხლეს, არა ცდილობს გონების გა-
სათლებას ღ დარბის, დაესეტება აქა იქ; სან გლუბში მიდის, ხან
თიატრში, ხან ბაღში, ხან ფეხერში; ერთ დღეს ამასთანა სკამს სა-
დილს, მეორე დღეს იმასთან; რაღასაც ექებს, რაღაც უნდა ღ თითო-
ნაც არ ესმის რა უნდა. — ზატორეციც სულელია ღ ამის გარდა
აუზაკია, ჰლუტია.

დასასრულ მოკასსენებთ, რომ ამ კამედიას არა ფერი წუნი არა
აქვს რა; ამ კამედიასში არა ფერი არ არის არც მეტი ღ არც ნაკლე-
ბი. ამისთანა კამედია მთელ რუსეთში არავის არ დაუწერია. ეს კა-
მედია არას დროს არ დასკედეება, ამიტომ რომ, საქმე ამ კამედიას-
ში გამოხატული, მუდამ იქნება საზოგადოებაში. თუ გნებავსთ შე-
იტეოთ ამ კამედიის ჭაზრი, უნდა წაიკითხოთ ერთსეულ კი არა, სუთ
ჟერ ღ ექვს ჟერ. რამდენსაც წაიკითხავთ, იმდენი უფრო მოგე-
წონებათ ღ უფრო კარგათ გაიგებთ

გ. წინამძღვაროვი.

ვანი ჭკუისაგან.

მ ო ქ მ ე დ ნ ი ჰ ი რ ნ ი :

- 1) ჰაველ აჩანასინი ქამუსოვი, სსსმართლოს ნახალნიკი.
- 2) სოფიო ჰაველოვნა, ქალი მისი.
- 3) ალექსანდრე ანდრეიჩი ჩაცვი.
- 4) პლატონ მისეილინი. (ამათი გვარია:
- 5) ნატალია დიმიტრიევსა, ცოლი მისი. (გორინი.
- 6) რეჰეტილოვი.
- 7) ანტონ ანტონინი ზაგორეცვი.
- 8) ალექსეი სტეფანინი მოლნაღინი, სეკრეტარი ქამუსოვისა, ამის-
ვე სასლში მცხოვრებელი.
- 9) ზოლგოვნიკი სერგეი სერგეინი სკალოზუბი.
- 10) ღიზა, მთასლე ქამუსოვისა.
- 11) ხლესტოვისა.
- 12) გრაჩინია ხრიუშინა.
- 13) გრაჩინია, მისი ქალი შვილი.
- 14) კნიაზი ტუგოსოვსკი.
- 15) კნენა, ცოლი მისი.

1
2
3
4
5
6

ტუგოსოვსკის კნიაჟნები.

1 {
2 { ქამუსოვის ბიჭები.

უფალი №

უფალი A.

ლაქია ჩაცვისა.

ლაქია გორიჩებისა.

ლაქია ხრიუშინებისა.

ლაქია სკალოზუბისა.

მოქმედება ჰიპოკრეტი.

თიკრის წარმოადგენს: სასტუმრო ოთახს; ამ ოთახში დიდი კედლის საათია; მარჯვნივ კარებია სოფიოს საწოლისა; ამ საწოლით გან ისმის ხმა ქორტუპიანისა ზე ფლეიტისა, რომელიც ცოტეცოტე ჩუმიდება. ღიზას დასძინებია კრესლოზე ზე გადმოკიდულა.

(დილა განთიადია, რაყრატებს).

გამოსვლა I.

ღიზა (ერთბაშათ გამოეღვიძება, კრესლოთგან წამოდგება ზე აქეთ იქით იუურება):

თენდება! ოჰ, რა მალე გავიდა ღამე! გუშინ ვეთხოვებოდი დასაძინებლად, არ დამითხოვეს! მოკვლით შეკობას, თვალის დაჭერა უნდა. ნუ დაიძინებ მანამ სკამითგან არ გადმოჰარდე. ესლა, ეს იყო წამთვლიმა—გათენდა კიდევ.

უთხრა იმათ:

(სოფიოს კარებს ურასუნებს). ბატონებო! ეი, სოფიო! ვაი და გვეყრება თავსა! თქვენს საუბრით ღამეს გაათენებთ. . . . ყრუ ხართ? ალექსეი სტეფანის! ქალბატონო! არაფრათ აგდებენ ისინი (მოშორდება კარებს). აბა, დაუბატოვებოდი სტეფანსა, ასლა რომ მამა შემოუფიდას. . . . მოდი ზე ემსახურე შეეჯარებულ ქალბატონს (კიდევ მიდის კარებთან). მოშორდით ერთმანსერთსა, კარგია, გათენდა. . . . რა ბატონო? (ხმა სოფიოსი).

რომელი საათია?

ლიზა.

უველას გამოკლევიძა ჩუქნსა, უველანი ადგენს.
სოფიო (ოთახითგან).
რომელი საათია?

ლიზა.

მეშვიდე, მეჩვი. მეცხრე.
სოფიო (ოთახითგან).

ტყუი... .

ლიზა.

ოჰ, დაწყევდილო სიუჩარულა! არც კი სჯერათ. ფანჯრის კარკუბებს გავაღებ, საათს წინ წაგწევ, თუმცა ვიცი რომ დაუკრავს (დგობა სკამზე ჭ საათს წინ წასწევს. საათი სტუმს ჭ უკრავს).

გამოსვლა II.

ლიზა ჭ ჭამუსოვი.

ლიზა.

ვაილე! ბატონი!

ჭამუსოვი.

ღიას, ბატონი! (დააუენებს საათს). შე ცუდექო. შენა! . . . რა მოზგონებდა თუ რა არი; ხან ჭლეიტის ხმა მესმის, ხან ჭორტკვიანისა. სოფიო ესე ადრე სად ადგებოდა ჭ დაუკრავდა.

ლიზა.

არა ბატონო. . . . მე. . . . უცებ. . . .

ჭამუსოვი.

ეგ არი ჭ, უცებ! თქვენ სულ უნდა ყური გიგდონ. იქნება განბე. . . (მოკვებვის ღიზას ჭ თამაშობს) ოჰ, შე მაცთურო შენა!

ლიზა.

თქვენს ხართ მაცთური; სირცხვილია; გუკადრებთ თქვენსა?

ქამუსოვი.

მშვიდია, მაგრამ ქაჩების მეტი არა აქვს რა თაკში.

ლიზა.

გამიშვიტო! თქვენს ხართ ქარაანი! დანხედეთ თავსა — მოსურე-
ბული ხართ!

ქამუსოვი.

თითქმის.

ლიზა.

ახა ერთი რომ მოვიდეს ვინმე აქა, სიით წავიდეთ? სად დაუიმა-
ლო?

ქამუსოვი.

ვინ მოვა აქა? სოფიოს ხომ სძინავს?

ლიზა.

ეს არი, ესლა ჩაკძინა.

ქამუსოვი.

ესლა? წუხელ რასაკეთებდა?

ლიზა.

მთელი დამე წიგნსა კითხულობდა.

ქამუსოვი.

ეს რა ეშმაკათ შემოიღეს წიგნების კითხვა?

ლიზა.

სულ ჭრანციტულ წიგნებს, დაკეტილ ოთახში მაღლა ხვით კით-
ხულობს ხოლმე.

ქამუსოვი.

შენ იმას უთხარ, რომ უბრალოთ ნუ იხდენს თვალებსა; წიგნე-
ბის კითხვისაგან არეფერი სიამისა სარგებლადა არ არი. იმას არა
სძინავს ჭრანციტულ წიგნებისაგან ზე მე კი რუსული წიგნების
კითხვისაგან საკუწრულად შეძინება.

ლიზა.

როცა ადგება, მოფახსენებ, ბატონო. ინებეთ. . . მიბძანდით; მეუშინიან, არ გამოაღვიძოთ.

ჭამუსოფი.

არ გამოაღვიძო? შენ კი საათს მართამ ზე მუწიკას აკურევიანებ ასე, რომ ეთქვ უბანში ისმის!

ლიზა (რამდენიც შეიძლება მაღლა სმით).

ოჰ, კარგია, გეუფათ!

ჭამუსოფი. (ვირსე სელს აფარებს).

დახუმიდი! რა სასით უვირი? გაგიჟდი?

ლიზა.

მეშინიან, რომ არა მოსდეს რა. . . .

ჭამუსოფი.

რა? რა მოსდეს?

ლიზა.

ბატონო, თქვენს უმაწვილი არა ბძანდებით; თქვენს უნდა იცოდეთ, რომ ახალგაზდა ქალების დილის ძილი ასეთი მსუბუქია, რომ ერთი რომ გაიჭაჭუნოს კარებმა, ერთი რომ გაიხუჩუნოს ვინმემ, მაშინვე შეიტყობებს.

ჭამუსოფი.

შენ სულ ტყუი. (სმა სოფიოსი).

შენ, ლიზა!

ჭამუსოფი.

სსსუ! (გაიჭარება ჩუმად).

ლიზა.

წავიდა. ოჰ, მოერიდე ბატონებს, თორემ ისინი მედამ საათს მსათ არიან ჩვენს დასატუქსავად. ღმერთმა გვაშაროს ვეკლას რისხვასა, ნამეტნავად ბატონის რისხვას ზე ბატონის სიუვარულსა.

გ ა მ ო ს ვ ლ ა III.

ლიზა, სოფიო სანთელი ხელში, მასუკან მოლხაღინი.

სოფიო.

რა არი ღიზა, რა დაგემართა, რა გაუვირებს?

ლიზა.

რა საკურკელაი თქვენოჯს განშორება მხელაი; გათენებადინ და კეტილში სხედსართ ღ მინც კიდეგ გეტოტაეებათ.

სოფიო.

ოჰ, მართლა, გათენებულა! (აქრობს სანთელს) რაკი გათენდება მოუწეინება ხოლმე ადამიანს; რა მალე გადის ღამე?

ლიზა.

მოიწეინეთ, რაც გინდათ ჭქენით; მეკი არ ვიცი რა უუო.... მაშა-თქენი იუო აქა; თითქმის მოგვკუდი შიშათა, არ ვიცოდი რა მექნა.... რაღაც ცუეუილები უთხარი.... რაღას განიერდით, ალექსეი სტეფანის? თავი დაუკარით. გული ნაკლეულათა გაქვსთ? შესედეო საათსა, ფანჯარებში; რა სანია ქუნაშა ხალხი იარება; სხედში და დიან, არასუნებენ, ჭგვიან, ალაგებენ სხედსა.

სოფიო.

ბედნიერნი საათს არ უუერებენ.

ლიზა.

ნუ უუერებთ, თქენი ნებაა; მაგრამ, რა საკურკელაი, თქვენ მაგიუ-რათ მე უნდა გადამხედეს.

სოფიო (მოლხაღინს ეტყვის).

წადით.... ერთი ღღეც გაუმლოთ მოწეენიღობასა.

ლიზა.

ღმეტომა ვშვიდობა მოგცესთ, აიღეთ ხელი. (აშორებს ერთმა-ნერთს; მოლხაღინს კარებში დაუსედეება ჭამუსოვი).

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV.

იგინივე ღ ჭამუსოვი.

ჭამუსოვი.

ეს რისაგან არი? მოლხაღინ, შესა ხარ, ძმაო?

მოლჩალინი.

გახლავარ.

ქამუსოვი.

აქ რისთვის ხარ? ისიც ამდროს? სოფიოც! მშვიდობა შენი ნახვას, სოფიო! რათ ამდგარხარ ესე ადრე? ჰა? რა საქმისათვის? ღმერთმა როგორ შეგუარათ ამდროს ერთთა?

სოფიო.

ის ესარი ესლა მოვიდა...

მოლჩალინი.

ესლა სეირნობიდა.

ქამუსოვი.

ძამიავ! არ შეიძლება, რომ სასეირნოთა ჰატარა შორს ქუჩა გამოიჩნია? ერთიც შენ, ქალბატონო! ქვეშატეგებთან წამოსტები თუ არა—მამინეუ ახალგაზდა კაცი შენთან არი; კარგსა სხადი! მთელი დამე ზღაპრებსა კითხულობ: აი ეს არი წიგნების კითხვის სახატებლობა აი! სულ მოდნის მალაზიები, სულ ძრანტუხები!

ეს დაწყევლილი ძრანტუხნი! სულ იმატგან მოკვდის მოდა, წიგნები, ლექსები, ჯიბეების ღ გულის დამღუპავნი! როდის დავგვისსნის ღმერთი იმად შლაპებისაგან, ჩეპჩიკებისაგან, ქინძისთავებისაგან ღ ნამეტნავად წიგნებისაგან.

სოფიო.

დამატა, მამავ... თაბრე მეხვევა; ... ასე შევეშინდა თქვენს უცებ შემოსვლითა, რომ შევიშალე ღ ძლივ ვსუნთქავ.

ქამუსოვი.

უმორჩილესად გმადლობ. უცებ შემოველ შე ამათთან; შე დაუშალე, შე შევაშინე!

თვითონ მეც არეული ვარ, სოფიო; მთელი დღე მოსვენება არა მაქვს; ვტრიალებ, დავრბივარ, როგორც დარეტიანებული; ქეჭუნის სქმე მაქვს სამსასურისა, თანამდებობისა: ხან ერთი გადაშეკიდება, ხან მეორე—ყველას ჩემთანა აქვს სქმე. მაგრამ რა მომავლანება ამას; რა მომავლიერება, რომ შე ამ სახით მომაცუეილებენ.

სოფიო (ცრემლებით).

ვინ მოგატყუათ, მამავ ?

ჭამუსოვი.

ახლა დამემდურები რომ მითომ უბრალოთა გტუქსავ. ნუ სტი-
რი, უური მიგდე: ჯერ შენ ისევ აკვანში იწექ, რომ მე ღელაშენმა
შენ გასაზღვლად, სასწავლებლად ზრუნვა დავიწყეთ. დელაშენი მია-
იგვალა. შენ მოსავლელათ მე ერთი ჰატიოსანი დელაკაცი შემოვი-
ყვანე — მადამ როზიე; საუცხოვო დელაკაცი იყო მადამ როზიე,
მაგრამ მხლოთ ეს არი იმისი დასაწუნი, რომ მოუმატეს წელიწადში
ხუთ ასი რუბლი ღ თავი დამანება... ეს რა საჭიროა, მაკალითი
მამის თვალწინ არის.

ლიზა.

მოგახსენოთ, ბატონო...

ჭამუსოვი.

ჩუმათ იყავ!

ე რა საშინელი დრო შეგვექნა! არ იცის კაცმა რა ქნას! ყველანი
უდროთ ჭკუას ჭსჩუმობეს, ნამეტნავად ქალები. სულ კი ჩუქნი
ბრალა: შემოვიყვანთ სოღმე სახლში ყველა გამოქცეულს, ყველა
ბილეთის მქონეს ღ ვასწავლებინებთ ჩუქნი ქალებს ყველაფერს: ტან-
ციობას, მღერას, აშიყობას, ოსერას ღ სს. თითქო ჩუქნი ქალებს
მასსარებს უმზადებლეთ ცოლათა.

ერთიც შენ უმაწვილო! რა გინდა, რათა სარ აქა? — ობოლი გაგა-
ზარდე, შემოგიყვანე ჩემ სახლში, ასესორობის ჩინი მოგიტანინე
ღ ჩემთან სეკრეტრათ გაგანწესე. ჩემის შემწეობით აქ გადმოგიყვა-
ნეს, თორემ შენ ახლა ტვერში (*) ეგდებოდი!

სოფიო.

მე თქვენი გარისხების მაზეზი ვერ გამიგია: აქ რა არი საკურს-
ველი ღ გასაჭავრებელი? ეს კაცი ამ სახლში ცხოვრობს; ერთ-
ოთახში უნდოდა შესულიყო, შეტომით შეორეში შემოვიდა.

(*) ტვერი, ქალაქია რუსეთისა.

ჭამუსოვი.

შეტომით შემოვიდა თუ უნდოდა შემოსვლა; მაგრამ ერთათ
რათა ხართ? არ იქნება რომ უცებ შესვედროდით ერთმანერთსა.

სოფიო.

აი როგორ იყო, მამავ; წელან თქვენს ღ ღიზს აქ რომ იყავით,
თქვენმა სამს საგურველად შემაშინა ღ მაშინვე გამოვიქე აქეთ. . . .

ჭამუსოვი.

ახლა ეველაფერს მე დამაბრალებს; უდროთ ჩემმა სამს შეაშინა!

სოფიო.

არეულ სიზმარში ვინც არის, იმას უბრალო რამ შეაშინებს. გო-
ამბოთ ჩემი სიზმარი? მაშინ სომ დაიჭურებთ?

ჭამუსოვი.

რას სიზმარი!

სოფიო.

გოამბოთ?

ჭამუსოვი (ჯდება).

ჭო, ჭო, მიაშბე.

სოფიო.

აი რა ვნახე: ჯერ წარმომიდგა ერთი მშვენიერი მწვანე, ყვავილეუ-
ბით საესე მინდორი; მასუკან მე ამ მინდორზე ვეძებდი რაღაც ხა-
ლახსა — არ მახსოვს. . . . ერთბაშთ ჩუმათ ერთი ასალგასდა ვატი
მოვიდა ჩემთან; ამ კაცს ასე გონია ბევრი სანია ვიცნოაფო; როს
გორღაც გაუბედავი ღ მკრთალი იყო ჩემთან: ვინც საწყაღია ესუ-
თი იქნება!

ჭამუსოვი.

არა დედავ! ნუ ამამართმევ სულსა! ვინც საწყაღია ის შენი ცაღი
არ არი, არა!

სოფიო.

მასუკან ეველაფერი დაიმაღა: მინდორიც ღ ცაც; ჩვენს დაფრით
ბნელ ოთახში. ამ დროს, საგურვეღია, ჰოღი აისაღა ღ თქვენს
იქითგან ამოსვეღით, გაუეითღებუღი, როგორც მკუღარი. თავის

თბუბი შიშისკან მალა ავივიდა. ამ დროს გრიალით გაილა კარკუბები ღ რაღაც, არც კატები ღ არც მხეტები, შემოვიდნენ ღ ჩუქნ-
ორნი ერთმანერთს გაგვარეს. იმ ასალგაზღას აწვალეზდნენ. მე იმას
ისე უუერებდი, როგორც საუნჯესა; მინდა მივეშველო — თქვენ-
შუანა მწევთ ღ ისმის კენესა, ღრიალი, ხარხარი, სტვენა ფერიები-
სა. ის ასალგაზღა შეძახის. . . . ამ დროს გამამეღვიძა. . . . ვიღაც
ლაპარაკობდა; უური დაუგდე. . . თქვენნი ხმა. . . მე ვთქვი: ეს რა
აღრე ამდგარა? . . . გამოვიქე აქეთ. . . თქვენ-ორთა ერთათ ცსე-
დავთ.

ჭამუსოვი.

დახ, ცუდი სიზმარია, მგონია; ამ სიზმარში ეველაფერია, თუ
არ მატყუებს: ფერიებიც, სიუქარულიც, შიშიც, ეგვილეკ-
ბიც. . .

შენ, ბატონო, შენ-რადას იტყვი?

მოლჩალინი.

მე შემომესმა თქვენნი ხმა. . .

ჭამუსოვი.

საფინელია! შემოესმათ ამათ ჩემი ხმა; როგორ მალე ესმისთ ჩუ-
მი ხმა ღ ეველას ეძახის დილით! ჩემ ხმაზე მოხვედი? რათა,
მითხარ?

მოლჩალინი.

ქაღალდები მოვიტანე.

ჭამუსოვი.

ჭო, ერთი ეგ მაკლდა! არ ვიცი რა ხალისე ღ ბეჭითობა მოგი-
ვიდა ქაღალდებზე.

(ადგება).

შენ თავს დაგანებებ სოფიო, მაგრამ ამას კი გეტყვი, რომ ბევ-
რა საკურველი სიზმრებია, რომელიც ცხადვივ უფრო საკურველია:
შენ გიძებნია ბაღასი — მეგობარი გიპოვნია; ნუ მიჭუეები ამ სიზ-
მარს — ტყუილია. წადი დაწე ისევ დაიძინე. (მოლჩალინს ეტყვის)
წავიდეთ ქაღალდები გაშინჯოთ.

მოლჩალინი.

ეს ქალაქები მოვიტანე თქვენს მოსასხენებლად, რომ არ შეიძლება ვაწარმოვოთ უსპრავკოთ; ზოგში ერთმანერთის წინააღმდეგი ჭაბრებია, ზოგი ტყუილია, არ არი სასუთიანი.

ჭამუსოვი.

მე, ძმაო; მხოლოდ იმისი მეშინიან, რომ არ მოგროვდეს ბევრი ქალაქები. თქვენს, რა საეურველია, ბევრს მოაგროვებთ, მე რომ ყური არ გიგდოთ. ჩემი ჩვეულება ესეთია: მოვაწყვე ხელი—თავითვან მოვიშორე.

(შიდინან. მოლჩალინის ზირველათ გაუშეებს კარებიოტან).

გ ა მ ო ს ვ ლ ა V°.

ს ო ფ ი ო ზ ლ ი შ ა.

ლი შ ა.

აჰ, ესეც თქვენნი ქეიფი, ესეც თქვენნი საუბარი! მაგრამ არა, დაცინების ზ ნიშნის მოგების დრო არ არი: თვალები მიბნეულდება, გული შეუდება. კარგი არ არი, რომ ხმა გავა: დაიწყებენ ძრასკასა.

ს ო ფ ი ო.

მე რას მიზამს გარეთ ლაპარაკი ზ ძრასკა? ვის როგორც უნდა ისე ილაპარაკოს; მე მხოლოდ მამა ჩემი მაფიქრებს: მამა ჩემი ანჩხლია, დაუწყნარებელია, ჩქარია—ის სულ ესეთია, მაგრამ დღეის იქით. . . . შენ შეგობლიან იფიქრო თუ. . . .

ლი შ ა.

მე ვფიქრობ ზ ვიცი უთქვენოთაც: მამა თქვენნი დაკვიტულში შა-გინახავსო. მეც თქვენთან რომ ვიყო, მაღლობა ღმერთსა; თორემ, ღმერთმა ნუ ქნას, მეც, მოლჩალინისაც ზ ყველას გაგვრეკავს სასლით-გან.

ს ო ფ ი ო.

ს: კურველია! ბედნიერება რა თავის ნათქვამში ზ უკათია: ხანდისან

ამასუ უფრო ცუდი საქმე მოხდება ხოლმე ზე ტაიფლის წავა, არას დაგვიშავებს ხოლმე; ასლა კი, როდესაც არაფერი საფიქრებელი არა გვექონდა რა ზე მუხაკისაგან დავიწყებაში ვიყავით, დროს ტუბილათ ვატარებდით, გვეტონა რომ განგება გეფარამს ჩუქნ—ასლა კი უბე-დურება უკანითგან გვეპარებოდა.

ლიზა.

ახა ეგ არი რომ ჩემ უგუნურ რჩევას არ უგდებთ უფროს არას დროს! ჩემსუ უკეთესი წინასწარმეტყველი გინდათ? რამდენჯერ მო-გახსენეთ: მაგ სიუჟარულითგან ირაფერი სარგებლობა არ აქნება, არას დროს: მამა თქუქნი ისეთი კაცია, როგორც უგელანი არიან ამ ქალაქში: იმას ვარსკვლავებიანი, ვერებიანი ზე ჩინებიანი სიძე უნდა. უველა ვარსკვლავიანს დოვლათიც სომ არა აქვს. ამ ვარსკვლავ-ვებთან დოვლათიც უნდა იყოს, რომ კარკათ იცხოვროთ, ბალი გა-მართოთ, აი როგორც ჰოლეკოენიკი სკალოზუბი, რომელსაც პარ-კებით თქრო უძევს ზე ახლა დენარლობას მოულის.

სოფიო.

ვის ეკადრება ის? რა საამური ჩემთს მუდამ მესმოდეს იმის-გან ჭრუნცზე ზე სალდათების რაზმზე ლაპარაკი? ამის გარდა იმას თავის დღეში კვვიანი სიტუება არ უთქვამს, ჩემთს სულ ერთია: თუნდ ის შემირთავს, თუნდ წყალში გადავარდნილ ვარ.

ლიზა.

დაის, ბატონო, ბერი მოლაპარაკება, მაგრამ უხერხული კაცია სკა-ლოზუბი. მაგრამ ჩაცვისთანა მსიარული, გულჩვილი, გონება მას-ვილი ზე შეტუველი ვინ იქნება ვოქსუბითგან ანუ სტატსკუბითგან? ის უველასა სჯობს; ამას მოგახსენებთ, ქალბატონო, არა თუ იმის თვს, რომ თქუქნ გეწეინოსთ... წასულს ველარ დავბრუნებთ. მაგ-რამ მახსოვს... .

სოფიო.

რა გახსოვს? ის ძალიან კარკათ დაცინის უველასა, ყბელობს, ხუმბრობს; ჩემთს კაი შესატყუარი ზე ძალიან საამურია ესა... . უველასთან შეტოლიან გაცინება.

ლიზა.

მსოფლოთ ეგ არი? მე კი მახსოვს, რომ ის საწყალი ცრემლით ივსებდა თვალებსა, თქუძ რომ გესალმებოდათ. რა გატირებთ მეოთქი, მსიარულათ იყავით, გაიციინეთ მეოთქი. იმან ჭიჭიასუსა: უბრალოთ არა ვტირიო, ღიზა; ვინ იცის რა დამისვდება, როდესაც დავბრუნდებიო; ვინ იცის რამდენს დაგვარგამო. საწყალი! . . ასე გონია იცოდა, რომ სამი წლის უკან. . .

სოფიო.

გამიგონე, ღიზა! შენ ძალიან ნუ ჭკადნიერობ! მე, მართალია, მსუბუქათ მოვიქეცე, ეს მეც ვიცო და ამაზე მე თვითონაც ვამტყუნებ ჩემ თავს; მაგრამ, რაში მნახე მე ორგული, ვის უორგულე რომ დამიწონ ძრახვა? დიას, მართალია, მე და ჩაცვი ერთათ შევიზარდენით; ერთათ უოფნამ შეგვათვისა ჩუძნი უმაწვილურ მეგობრობითა; მაგრამ მას უკან ის გავიდა ჩუძნი სახლითგან და იშვითათ იარეუბოდა ჩუძნსა. მასუკან კიდევ მიჩვენებდა, მითომ უეფარვარ. ის ჭკვიანია, გამჭრეა, მახვილ მეტყველია; ის ნამეტნავად თავის ამხანაგებშია ბედნიერი და მიღებული. . . ძალიან მაღლა აიწია იმან თავი; მოუვიდა ყინო მოგსაურობისა. . . წავიდა. ოჲ, თუ ვისაც უეფარს ვინმე, რათ უნდა ჭკუა და რათ მიდის შორს გზას!

ლიზა.

ჩეტა სად დაფრინავს? რომელ ქუჩუანაშია ახლა ჩაცვი? ანობენ მევე წულეებზე წასულათ საწამლედად, არა თუ სნეულებისგან, არა; სევიანობის მოსარჩენად უფრო წავილოდა; ეს უფრო დასაკრებელია.

სოფიო.

და, რა საკურველოა, ის იქ უფრო ბედნიერია, სადაც საღსო უფრო საცინელია. მე ვინც მიჩვენარს, ის იმისთანა არ არი: მოღჩალინი სხვისთჳს თავის თავს დაივიწყებს; კადნიერების მკერია, მუდამ მოკრძალებულია, არ არის გამბედავი; ვერ დასცინებს ვერავის. მთელი დამე ვისთან შემოდღიან ისე სიამოვნით გავატარო დრო, როგორც მოღჩალინთან? ვსხედვართ ერთათ, გარეთკი თენდებ!

შენ და ზგონია, ლიზა, რას ვაკეობთ ხოლმე?

ლიზა.

ღმერთმან იცის ქალბატონო. რა ჩემი საქმეა!

სოფიო.

გამამართმევს ხოლმე ხელსა, გულსაც მიიკრებს ხოლმე; ერთ სიტყვას კანდიერს არ იტყვის; ესე გადის მთელი ღამე; ხელი-ხელში უჭირავს და თვალებს ვერ მომაშორებს ხოლმე. იცინი? რა გაციონებს? როგორ იქნება? რა ნასე საცინელი?

ლიზა.

ჲე, ქალბატონო, თქვენი მამიდა მამაგონდა; ის ჭრანცუზა რომ სახლითგან გაეჭდა... საწყალი თქვენი მამიდა!.. თმა უნდოდა შეუღეა... დაავიწყდა და შესამე დღეს თმა სულ გაუთეთრდა! (ხარხარებს).

სოფიო (წყენით).

აი ეგრე იტყვიან ჩესხედაც!

ლიზა.

მომიტყვეთ, ქალბატონო, ღმერთს-გუთუიცებით შე მინდოდა, რომ ამ ჩემს ტუტურ სიცილმა პატარა გაგამხიარულოსთ.

გ ა მ ო ს ე ლ ა VI.

ივინიუე და ბიჭი.

ბიჭი.

აღუქსანდრ ანდრეიჩი ჩაცვი გახლათ (გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა VII.

იგინივე ზ ჩაცვი.

ჩაცვი.

რამწამს უნათლია მაშინვე ამდგარხართ, ზ აი მეც გახსელით, ველირსე თქვენ ნახვასა (მხურვაღეთ ჭკოცნის ხელზე), მაგობრეთ ზ, არ მომელოდით? მითხართ: გაგესათღათ ჩემი მოსვლა? არა? ერთი შეშამსედეთ; გიკვირსთ? არა მეცემთ სმასა? რა მიღებაა... თითქო ერთი კვირაც არ გასულიყოს, რაც მე წავსულვარ; თათქო ჩუქნ გუშინ ერთათ ველოჯილვართ ზ ერთმანერთისათუხ თავი მოგვიწყენია. ერთი ნამცეცი ჩემი სიუყარუღი აღარა გაქვსთ. ძალან კარგი!

მეკი ორმოც-ღასუთი საათი თვალ მოუსუჯავი შეიდას ვერსტყე მეცვი ქარში ზ ბუქში მოვდიოდი, მოვეშურებოდი საყვარელთან; აღარა ფერი. აღარ მაგონდებოდარა; რამდენჯერ დავეცი გზაზე... აი ახლა, ამდენ ღვაწლის ჭილღოდ რასა ვხედავ!

სოფიო.

არა, ჩაცვი, მე თქვენი მოსვლა მიხარის ძალან.

ჩაცვი. —

გიხარისთ? მადლობელი ვარ! ჭსწორეთა სთქვით, ეგრე უნდა გიხაროდესთ?

არა? მე ვხედავ რომ, ამ სამთარში უბრალოთ დავხოცე ცხენები ზ კატები სიცივითა; ტყუილად ვანუგეშებდი თავსა!

ლიზა.

არა, ბატონო, აი თქვენ რომ კარებს უკან ყოფილიყავით ამ ხუთი მინუტის წინათ, შეიტყობდით, რომ თქვენ გახსენებდით. ქალ ბატონო აქვენ თითონ ბრძანეთ!

სოფიო.

მუდამ მოგიგონებდით ხოლმე, არა თუ მხოლოთ ესლა; თქვენ არ შეგიძლიანთ ამასე დაშემღურით: ვისაცვი დავინახავდი ხოლმე,

ვინცკი კარებს გააღებდა, ვინც უნდაუფილიყო, თუნდ ჩღკაში მყოფ ვარის კაცი, ყველას კეითსამდი ხოლმე, ხომ არ ენახეთ ფოშტის კარეცაში მჯდომი ღ მიმავალი ანუ მომავალი.

ჩ ა ც კ ი .

ვთქოთ ეგ მართალია, ეგა შწამს: ნეტარ არს იგი, ვისცა სწამს: იმას არა აწუხებდეს!

მაგრამ, რა ღმერთო! განა მე კიდეც აქა ვარ? ამ ქალაქში? თქვენთან? — არ ვიცი როგორ გიცნათ თქვენ! სადარის ის უმანკო უმანწვილობის დრო, როდესაც ჩვენ საღამოთი სან აქ ვიყავით ხოლმე, ხან იქა? ვთამაშობდით ღ სკამებს გჯქონდათ ბრასა-ბრუსი ჩვენის თამაშობისაგან; თქვენი მამა ღ მადამი პიეეტსა თამაშობდნენ; ჩვენკი კუთხეში, აი მკონია იმაში, მივიკუნტებოდით ხოლმე. რა დესაც სკამის სმა შემოგვესმებოდა ანუ კარების ჭრიალი?

სოფიო.

უმაწვილობა!

ჩ ა ც კ ი .

ღიხ! ახლავი ჩვიდმეტის წლისა შეიქენით, დამშვენდით, საკურვლად; ეს თითონ თქვენც იცით, ჭკრძობთ ამას, ღ ამის გამო მორცხობთ. შეევარებული ხომ არასართ? გთხოვთ პასუხი მამცეთ. ნუ ფიქრობთ, ნუ გრცხვენინათ.

სოფიო.

განცვალეთ! ვის არ შერცხვება ამისთანა კითხვისაგან ღ ამისთანა განკვირებით ჭვრეცისაგან?

ჩ ა ც კ ი .

თქვენ რომ არ გამაკვიროთ, მამ ვინ უნდა გამაკვიროს? რას ვნახამ ამ ქალაქში ახლას? გუშინ ყოფილა ერთი ბალი, სგალაც იქნება ღარი; ერთი ინაშნებოდა, დანინიშა, შეირთო; მეორეს არ მოუხდა. სულ ეს აქუსთ საღამარაკო მთელ ქალაქს. გუშინ იყო — დღესაც ის იქნება.

სოფიო.

დაიწყო კიდეც ამ ქალაქის ძაგება! მამ სადა ხვობს?

ჩატკი.

იქ, სადაც ჩვენ არა ვართ!...

რასაიქს მამათქვენი? ის ისევ კლუბის ერთგული ჩვენია? თქვენ-
მა ბიძამ გაათავა თავის დღეების თვლა?... ერთიც ის... რა ჰქვი-
ან... ის ოსმალთა თუ ბერძენი, წეროს რომ მიუგავს ფესები?...
ის შავშავი... რა ჰქვიან, დამავიწყდა... ის სადაცა ჰსიქიათ, იქ იქ-
ნებოდა სოღმე. ერთიც ის სემნი, მუდამ ბუღვარში რომ დასეირ-
ნობენ ხოლმე... ორმოც-ღათი წელნიწადია ახალ გაზდობენ; მა-
მეული მილიონი აქქსთ ღ დების შემწეობით მთელ ქვეყანას იცნო-
ბენ... ის ჩუქნი მზე, ჩუქნი საუნჯე რადასაიქს, რომელსაც შუბლ-
ზე აწერია: თაატრი ღ მასკარადი; ის ამისთჳს არის გაჩენილი.

ერთიც ის — თქვენი ჭლექი ნათესავი, წიგნები რომ სძულს ღ
განათლებას გარყენილობათ სახავს. სწავლა რევენისო ვეელასათ, არ
უნდა ისწავლობო — ის რასაიქს? დმერთმა არ დამიფარა, კიდევ
უნდა ვნახო მე ისა? — ამას გარდა, ამ ქალაქში ვის არა აქვს ლაქა,
ვის არა აქვს წუნი?

მაგრამ, როდესაც შორს გზას წავა კაცი ღ დაბრუნდება, მაშინ
თავის მამულის კვამლიც ეტკბილება ღ იამება!

სოფიო.

თქვენ ღ მამიდა ჩემი ერთათ უნდა შეგუარონ, რომ ადვილათ
მათვალათ ვეელა ნაცნობები.

ჩატკი.

მართლა, მამიდა თქვენი! ის ისევ გაუთხოვარია, ქანწულია? ისევ
ეკატერინე პირველის ძრეილინა? შატრანქალები ჰყავს კიდევ შაგირ-
დათა ღ იმის სახლი კიდევ შატრანქალებით არი სავსე?... ჰო,
კარგა მაიმოგონდა შაგირდები ღ იმათი სწავლება... რა, ახლაც ად-
რინდელივით აგროვებენ მასწავლებლებს ბერს ღ იათი ფასისას ღ
არა თუ სწავლულებს?

ის, ჩუქნი ოსტატი, გასსოვთ იმისი კალთაკი ღ ხალათი? იმისი
საღკე თითი, მასწავლებლის ნიშნები! როგორ გვაშინებდნენ ისი-
ნი! როგორ მადე დაგვაჯერეს, რომ ჩუქნი უნემცებოთ ვერ

შეკვიდიან ცსოვრება!... ის ძრანცუსი... გილომე რაღსაიქს?
იმას ჟერ ცოლი არ შეურთავს?

სოფიო.

ვინ უნდა შეერთო?

ჩაცკი.

ერთ-ერთი გნიაქნა, მაგალითებ, ჰუღსურია ანდრეევსა.

სოფიო.

ტანცმეისტერს? როგორ შეიძლება?

ჩაცკი.

რატომ? ისკავაღერია. ჩვენსან მოითხოვენ, რომ უკვიანიც ვიუფ-
ნეთ ზე ჩინებიც გვექონდეს — გილომეკი... აქ როგორ დაპარაკობენ
მაღალი საღის, ანუ დიდგაცობის შეურილობაში? ისევე ურევენ ორ
ენას ერთმანერთში? (*).

სოფიო.

არევა ორი ენისა?

ჩაცკი.

დაიხ, უამისოთ როგორ იქნება?

ლიზა.

მაგრამ ამ ორი ენითგან ერთი თქმულნი ენისთანა ენის შედგენა
ძალიან ძნელია.

ჩაცკი.

ჩემი ენა საცინელი არ არის მაინც. მე თქმულნი ნახვის სიხარუ-
ლისგან გავცოცხლდი ზე ამდენს ვლაპარაკობ. განა ხანდახან მე მოლ-
ჩალინზე უფრო ჩემი არა ვარ? მართლა, ის სად არის? ისევე ისე
უენოა? ისევე ისე ხმის ამოუღებელია? რაკი ნახამდა სიმღერების
რვეულს, მაშინვე გადამეკიდებოდა თუ: მათხოვეთ გადაეწერო. მაგ-

(*) ძრანციფულს ზე რუსულს.

რამ იმას არა უშავს რა, ის წინ წავა ძლიან: ახლანდელ დროში ჩუქები და უენოები უყვართ.

სოფიო (გვერდზე).

ეს აღამიანი კი არ არი... გველა! (მალა ხმით) ერთი მინდა გკითხოთ: შეგძინებოდათ როდისმე, უმაწვილობაში მაინც, რომ როგორმე გეთქვათ ვისმეზე კეთილი, და სიკეთე გქონათ ვისთვისმე?

ჩატკი.

ეგრე შორს რათ ექებთ, რათ გინდათ ჩემი უმაწვილობის დრო? აი კეთილი საქმე: ზარების რაკარუკით დღე და ღამე თფულში და ბუქში თავგატყეხილივით მოვეშურებოდი თქვენთან; როგორ გსვდავთ თქვენ, როგორ მიმიღეთ? როგორღაც მიმიშეთ, ამხარტანათ. ნახევარ საათი თქვენ გულგრილობას ვუტყეოდი და ვიტანჯებოდი. ამის უკან მე კიდევ თქვენ გულით და სულით მიუვარხართ. (ერთს მინუტს დაფიქრება) განა ვეულა ჩემი სიტუა გულის გასაგმიანად და საწყინარია? განა აგნებს ვისმე? თუ არა— მას გონება და გული ერთმანერთის თანახმანი არ არიან: მე ერთსულ დავცინებ — მას უკან დამავიწყება სოღმე: მიბრძანეთ დეტხლში ჩავარდე— ესლავე ჩავარდება.

სოფიო.

ღიას, კარგი, ჩავარდით, დაიწვიოთ— თუ არა?

გამოსვლა VIII.

ივინივე და ჭამუსოვი.

ჭამუსოვი.

ესენ მეორე!

სოფიო.

ოჰ, მამავ! სიზმარი ამისდა! (მიდის).

ქამუსოვი (თვალს უკან გადადევნებს სოფიოს ღ დაბლა სმითი ტყვის:)

დაწვეული სიზმარი!

გ ა მ ო ს ვ ლ ა IX.

ქამუსოვი ღ ჩაცკა, (რომელიც უეუტებს იმ კარებს, საითვანაც სოფიო გავიდა).

ქამუსოვი.

ძალიან კარგათ მოიქეცი შენა: ამ სამ წელიწადში ორი სიცოცხა არ მოგვწერე; ასლა მოხვედი უეცრათ, თითქო ზეცითვან გადმოაფარდიო. (ეხვევიან ერთმანერთს) რასა იქ შეგობარო, რასა იქ ძმაო, რასა იქ? მინბუ: შგონია ბევრი კაი ანბავები გაქვს სათქმელი, დაჯექ, გაზამიცხადე, ჩქარა. (სხდებიან).

ჩაცკი (გაშტურებით).

სოფიო ჰავლოვნა რა გაკეთებულა, რა გაღამასებულა!

ქამუსოვი.

თქვენს. ახლგაზდებს, ქალის სიღამაზის მეტი, არა ფერი საქმე არა გაქვსო. ქალმა თუ ერთი გაიბუტბუტა, თქვენს მაშინვე უაშიუდებით ღ იმედი მოგეცემათ ხოლმე ...

ჩაცკი.

ოჰ, არა! მე იმედი არ მაცხოვრებს.

ქამუსოვი.

«სიზმარი ამისდა» მე მეუბნება. შენ გულში ჩაგიდგია...

ჩატკი.

მე? არას დროს!

ჭამუსოვი.

ვინ უნახავს სოფიოს სიზმარში, ვინ არის?

ჩატკი.

მე სიზმრის გამამცნობი არა ვარ.

ჭამუსოვი.

ნუ დაუჭერებ იმას, ტყუილია.

ჩატკი.

მე მხოლოდ ჩემ თვალებს ვერწმუნები; თუნდ სელწერილს მოგ-
ცემთ, რომ იმაზე ღამაში არავინ არ იყო.

ჭამუსოვი.

ეს ისევ თავისას რომავს!... ერთი მითხარ, მინაბე დაწვრილე-
ბით, სად იყავ, ამდენი ხანი სად იარებოდი, ახლა საითგან მოს-
ვედი?

ჩატკი.

რა მაგისი გული მაქვს ესლა? მინდოდა მთელი ქუჩისა მომე-
ლა, მესე ნაწილიც ვერ მოვიარე (წამოდგება სანქაროთ). მომი-
ტყვეთ; მე მოკეშურებოდი აქ თქვენ სანახავათ; ჯერ ჩვენსა არა
ვეუფილვარ; მშვიდობით; ერთ საათს უკან გიასლებით ზეველა-
ფერს ჰარველათ თქვენ გიანობით; მასუკან თქვენ ეველას უანბებთ.
(მიდის; კარებში იტყვის) რა ღამაშია!

გ ა მ ო ს ვ ლ ა X.

ჭამუსოვი (მარტო).

რომელია ამ ორითგან სოფიოს საქმეო? ერთი სწეალია, ღარი ბია; მეორე არსად არა მსახურობს, ღირანტია, ცუდათ დაესეტება. «ოჲ, მამა, სიზმარი ამიხდა», ამას მეუბნება სოფიო! არა, მე შევცდი: მოლხაღინშა წედან კვკში შეიიყვანა, ახლა... სწორეთ ფაითგან ვაგლახში ჩაკარდი! ოჲ, ღმერთო! რა ძნელი უოფილა გასათხოვარი ქალის მამობა!

დასასრული ჰირეული მოქმედებისა.

მოქმედება მეორე.

გამოსვლა I. (*)

ჩამუსოვი.

პეტრუშკა! შენ სულ იდაუკ გამოგლეკილი ხარ, შე სასატელო შენა! მაიტა აქ კალენდარი. წაიკითხე, დიაკვანისავეით კი არა, გულთ, გრძობით, გაგებით, წენართ. მაიტა! მანდ, მომავალ კვირის წინ დაწერე: პრასკოვია ტეოდოროვნასთანა ვარ დაპატუებული სამშაბათს კალმასზე.

საკურველია ეს ქვეყანა?

